


“ვამტკიცებ“

აჭარის ჭადრაკის ფედერაციის  
პრეზიდენტი *ს.ჯ.* სალომე მელია



“ 12 “ თებერვალი, 2020 წ.

## 2020 წლის აჭარის საკლუბო ჩემპიონატის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

27.02.- 01.03.2020

1. ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, გორგილაძის N91, სასპორტო სკოლის საჭადრაკო დარბაზი.
2. მიზანი და ამოცანები:
  - აჭარის რაიონებში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია;
  - აჭარის უძლიერესი კლუბების გამოვლენა;
  - 2020 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის I ლიგის მონაწილეთა გამოვლენა.
3. სისტემა და კვალიფიკაცია:

ჩემპიონატი ტარდება ფიდეს წესებით, წრიული სისტემით.  
საჭიროების შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.
4. დროის კონტროლი: ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 50 წუთი პარტიის ბოლომდე.
5. მონაწილენი: ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვს საჭადრაკო კლუბს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი იურიდიული სტატუსი. კლუბი გაწევრიანებული უნდა იყოს აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში. გაწევრიანებისთვის საჭირო დოკუმენტაცია: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2. წესდების ასლი; 3. განაცხადი ფედერაციის წევრად მიღების შესახებ.

გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება 4 მონაწილით:

I დაფა - ღია (ნებისმიერი მოჭადრაკე);

II დაფა-16 წლამდე (2004 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაბადებულნი);

III დაფა-12 წლამდე (2008 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაბადებულნი);

IV დაფა-10 წლამდე (2010 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაბადებულნი).

ყველა გუნდი უნდა იყოს სრულად დაკომპლექტებული.

6. რეგისტრაცია: ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა 2020 წლის 24 თებერვლის 18:00 სთ-მდე უნდა წარმოადგინონ გუნდების სახელობითი განაცხადი და მოჭადრაკეების შემადგენლობა დაფების მიხედვით.
7. გამარჯვებულთა გამოვლენა:

გამარჯვებული გუნდები გამოვლინდებიან ქულათა საერთო რაოდენობის მიხედვით. მოგება განისაზღვრება - 2 ქულით, ფრე - 1 ქულით, წაგება - 0 ქულით.
8. თაი - ბრეიქი:

ორი ან მეტი გუნდის მიერ ქულათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება: 1. ქულათა საერთო ჯამის მიხედვით; 2. ურთიერთშორის მატჩის შედეგით; 3. ზონნებორნ-ბერგერის სისტემით.

7. **ტურნირის განრიგი** შედგება განაცხადების მიღების შემდეგ კლუბების რაოდენობის მიხედვით და გამოქვეყნდება მ/წლის 25 თებერვალს აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვებ-გვერდზე: [www.acf.ge](http://www.acf.ge)

**8. დაჯილდოება:**

**I, II და III ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და საჭადრაკო ლიტერატურით;**

I-II ადგილზე გასული გუნდები მოიპოვებენ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის |

I ლიგის საგზურებს;

ჩემპიონატის ყველა მონაწილეს ასევე გადაეცემა სიმბოლური საჩუქარი.

**9. საერთო წესები:**

ტურის დაწყებიდან 30 წუთზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება; პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩათვლება წაგება; გუნდის ტურნირიდან გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაწესებული სანქციები;

ნებისმიერ მონაწილე კლუბს უფლება აქვს მატრის დამთავრებიდან 15 წუთის განმავლობაში გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში. კლუბი

ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ანგარიშზე გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

**ტურნირი გაშუქდება აჭარის ჭადრაკის ფედერაციის ვებ-გვერდზე: [www.acf.ge](http://www.acf.ge)**

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია.

ელ.ფოსტა: [chessketevan@mail.ru](mailto:chessketevan@mail.ru)

მობ: 593-30-21-58